



დარგობრივი ეკონომიკა



საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხისათვის

ზურაბ ჯორბენაძე

ეკონომიკის დოქტორი, სტუ პროფესორი

რევაზ შენგელია

ეკონომიკის დოქტორი, სტუ ასოცირებული პროფესორი

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება საერთო-საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხია; ნებისმიერი ქვეყნის სტაბილური ეკონომიკური განვითარების საკითხი ეკონომიკის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიზმაში გადაწყდება და შესაბამის ფუნქციონალურ დატვირთვას იძენს. საკითხის აქტუალურობა თავის მნიშვნელოვან ადგილს იჭერს საქართველოს მიმართ, რამდენადაც აქ დინამიურად მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების არეალში საწარმოთა სტაბილურად და დინამიურად ფუნქციონირება ძალზე საყურადღებოა.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხის განხილვა-განალიზების საკითხს თეორიული მნიშვნელობის გვერდით უდიდესი პრაქტიკული ღირებულება აქვს; იგი ეკონომიკური თეორიის ინტერესის სფეროდან მთელ რიგ შემთხვევაში უშუალოდ გამოყენებითი ეკონომიკის კუთხით არსებულ ინტერესთა სფეროში ხვდება; საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხომ პოლიტიკონომიკური მოთხოვნების გადასახედიდან აქ მიმდინარე წარმოებით-ეკონომიკური ურთიერთობების რეალიზაციისა და დაცვის ტოლფასოვანია. ამასთან აქ სათავეს იღებს როგორც მთლიანად ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების, ისე მისი საერთო-საზოგადოებრივი სტაბილურობის რეალიზაციის საწყისებიც.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება ერთის შეხედვით „წმინდა“ ეკონომიკური კატეგორიაა; ამასთან ის მრავალსახოვანია და რეალიზაციის პროცესში გამოდის საწარმოს ფარგლებიდან და სოციალურ

დატვირთვას იძენს: საწარმოს გადასახედიდან რეალურად მოსჩანს როგორც პიროვნების, ისე მისი ოჯახის, ასევე მთლიანად მთელი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობა და კეთილდღეობა; უფრო მეტიც, მთლიანად მთელი საზოგადოება და მისი თვითოეული წევრი ქვეყანის საერთო დინამიკას და აქ არსებულ პრობლემებს სწორედ საწარმოდან ხედავს და აცნობიერებს;

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი შესაბამის ეკონომიკურ სივრცეში მოქმედი და გარკვეული შესაძლებლობის მქონე საწარმოს მიმართ დგება. ამიტომაც იგი, ე.ი. საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება, იმდენად და იმ ზომით არის საჭირო და მნიშვნელოვანი, რამდენადაც და რა ზომითაც საწარმოს გააჩნია და ფლობს თავისი სამეურნეო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო სასტარტო-საწარმოო პოტენციალს. სწორედ ეს პოტენციალი წარმოადგენს საწარმოს სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობების განხორციელებისათვის საჭირო და აუცილებელ შესაძლებლობათა სპექტრს. ამდენად, საწარმოში პოტენციალის მოძრაობაში მოსვლის შემდეგ დღის წესრიგში დგება შესაბამისი დატვირთვის მქონე ეკონომიკურ უსაფრთხოების მოთხოვნა.

ზოგადად უსაფრთხოება გარკვეულ სიტუაციაში ობიექტის გარკვეული სახის მდგომარეობის შენარჩუნებას გულისხმობს; ამასთან ეს ისეთი სახის მდგომარეობაა, როცა განვითარების პროცესში ობიექტმა სხვადასხვა სახის ფაქტორების ზემოქმედების მიუხედავად უცილობლად შეინარჩუნოს თავისი თავი და სტაბილურად განვითარდეს. აღნიშნული მოცემულობა სრულად ვრცელდება საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე; მასზე ყოველთვის მოქმედებს მრავალი სახის და რანგის როგორც შინაგანი ისე გარეგანი საფრთხის მომცველი ფაქტორები, მასზედ საკმაოდ მგრძნობიარედ მოქმედებს გაუთვალისწინებელი და არაპროგნოზირებადი მომენტები თუ გარემოებები და ა.შ. საფრთხე ექმნება საწარმოს დაცულობას და მის სტაბილურობას; ყოველივე ეს საბოლოო ჯამში პირდაპირ აისახება საწარმოს ეკონომიკურ ცხოველყოფილებაზე. ამდენად, საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის და უზრუნველყოფის საკითხი თვით ამ საწარმოს წარმატებითი ფუნქციონირების არელში ჯდება და მას არსებითი მნიშვნელობა აქვს.

საწარმო როგორც ეკონომიკური სუბიექტი ესაა მატერიალური, ფულადი და შრომითი და სხვ. რესურსების ერთი ორგანული მთლია-

ნობა. ამიტომაც, როცა საუბრობენ სანარმოზე, როცა აღნიშნავენ რომ ესა თუ ის სანარმო არის მასშტაბური, „შეძლებული“ ეკონომიკური პოტენციალის მქონე, და შესაბამისად სერიოზული პარტნიორი და ა.შ.. უკვე იგულისხმება რომ საქმე გვაქვს ეკონომიკურ სუბიექტთან, რომელიც არა თუ ფლობს და განაგებს წარმოებისთვის საჭირო აუცილებელ და საკმარის რესურსებს, არამედ უფრო მეტსაც და რომ ის სხვადასხვა სახის წინააღმდეგობების მიუხედავად წარმატებით ვითარდება.

ეკონომიკის განვითარების დღევანდელი დონე თანამედროვე სანარმოს შესაბამის სახეს წარმოადგენს. მასზე საუბრისას ყოველთვის გულისხმობენ მძლავრ სანარმოო ერთეულს სოლიდური ფულადი, მატერიალური, შრომითი, და ბოლოსდაბოლოს ინტელექტუალური რესურსებით; მანუფაქტურის ტიპის, ან რაღაც პატარა ფაბრიკის ან ქარხნის ადგილზე დღეს თანამედროვე კორპორაციული სახის სანარმო არის. ამდენად, სავსებით მისაღები გახდა ის ფაქტი, რომ სანარმოს დღევანდელი სახე წარმოდგენილია როგორც კორპორაციული სანარმო შესაბამისი რესურსებით – კორპორაციული რესურსებით.

სანარმოს მიერ კორპორაციული რესურსების ფლობის ფაქტი და ეფექტური გამოყენების აუცილებლობა პირდაპირ კავშირშია სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხთან. ხოლო კორპორაციული რესურსების მოცულობა და სიდიდე, მისი ნაირსახეობა საკმარის წინაპირობას ქმნის და აყალიბებს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხის „სიმძიმის“ გააზრებისათვის; ამ აზრით სავსებით ბუნებრივია იმის მინიშნება, რომ მხოლოდ გარკვეული „ზომის“ კორპორაციული რესურსის მქონე სანარმოს მიმართ დგას ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი, რამდენადაც სხვა შემთხვევაში ეკონომიკური უსაფრთხოება მათთვის „თავსმოხვეულ“ და „თითიდან გამოწველ“ ვალდებულებას და პასუხისმგებლებას წარმოადგენს.

დღეს სანარმოს ეკონომიკაში ანსხვავებენ კორპორაციული რესურსების შემდეგ სახეებს: კაპიტალის რესურს – სანარმოს განკარგულებაში არსებული კაპიტალს, ანუ საქონლის და მომსახურების სანარმოებლად გამოყენებულ შენობებს და მონყობილობებს, და ფულადი კაპიტალს, ანუ სანარმოს ფულადი აქტივებს და რესურსებს. პერსონალის რესურსს – სანარმოში არსებული შრომითი პოტენციალს, აქ დასაქმებულთა საკადრო შემადგენლობას, მათი ინტელექტუალური დონეს და სხვ. ანალოგიური გარემოებებს; ტექნოლოგიისა და ინფორ-

მაციის რესურსს – სანარმოს საერთო ტექნოლოგიური აღჭურვის, საინფორმაციო-ტექნოლოგიური და

საინფორმაციო-ტექნიკური უზრუნველყოფის და სხვ. მსგავს რე-ალობას; ტექნიკისა და მონოპოლიზაციის რესურსს – სანარმოში ტექნიკის და მონოპოლიზაციის, დანადგარების და ა.შ. არსებული რეალობა; სხვადასხვა სახის ტექნიკური აღჭურვის მოცულობას; უფლებრივ რესურსს – სანარმოს იურიდიულ-სამართლებრივი სტატუსის შესაბამისად, სანარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე არსებული უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები.

აღნიშნული რესურსები შესაბამისი ფუნქციონალური დატვირთვის პირობებში ერთმანეთთან და ორგანულად დაკავშირებულნი არიან; ამ სიტუაციაში სანარმო კაპიტალური საზოგადოებაა და შესაბამისი რანგის სუბიექტად გამოდის. სწორედ ამ ტიპის სანარმოს მიმართ მთელის სიგრძე-სიგანით დგება ეკონომიკური უსაფრთხოების აუცილობლობის და საჭიროების მოთხოვნა. რამდენაღ სანარმოს კორპორაციული რესურსების გამოყენების საკითხთა მთელი არეალი საბოლოო ჯამში სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების, და მთლიანად, ქვეყნის ეკონომიკის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში ჯდება.

სანარმოში კორპორაციული რესურსების არსებობა გარკვეულ წილად მისი სტაბილური ფუნქციონირების წინაპირობა არის. სწორედ ამ ტიპის რესურსები შინაგანად მოითხოვს მათ ეფექტურ გამოყენებას; აღნიშნული მთლიანობაში ვერ ამოწურავს საკითხის აქტუალურობას; კერძოდ, სანარმოში არსებული კორპორაციული რესურსების ეფექტური გამოყენების ფაქტს უცილობლად სჭირდება მოსალოდნელი თუ ტექნოლოგიური-ტექნიკური თუ ეკოლოგიური საფრთხისაგან დაცვა. მათ გვერდით დღეს თავი იჩინა ახალმა, თვისობრივად ახალი სახის საფრთხემ, რომელიც ეკონომიკური საფრთხის სახელით არის ცნობილი. ამ სახის საფრთხისაგან თავის დაცვა კი, სხვა ყველა შესაძლო და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგის თავიდან აცილების გარდა, ბოლოს და ბოლოს, სანარმოს სტაბილურობისა და იმიჯის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

ამრიგად, სანარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი სანარმოში არსებული კორპორაციული რესურსების ეფექტური და რაციონალური გამოყენების გზაზე გადის. ამასთან სანარმოში ან სანარმოს გარეთ არსებული ობიექტური და სუბიექტური

ფაქტორების მოქმედების მთელი სპექტრი გარკვეული საფრთხის რეალობას ქმნის; თვით სამეწარმეო საქმიანობა ყოველთვის საფრთხის შემცველი არის – საბაზრო ეკონომიკა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ყოველი სამეწარმეო აქტიურობა, წარმატებული იქნება. ამიტომაც, დღეს მძაფრი კონკურენციული გარემოს და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, საწარმოს კორპორაციული რესურსების მიმართ ეკონომიკური საფრთხის საშიშროება ყოველი მხრიდან არის მოსალოდნელი: მაგალითად, მოსალოდნელია მოხდეს საწარმოს არა მხოლოდ ფინანსური რესურსის, ასევე ტექნოლოგიური რესურსის, ტექნიკური, ან თუნდაც, საწარმოს პერსონალის რესურსის ღირებულების გაუფასურება, მათი „დევალვაცია“, სხვა შესაძლო მოსალოდნელ შედეგზე რომ არაფერი ითქვას. აღნიშნულ გარემოებას არც თუ ისე იშვიათად ემატება საწარმოს ხელმძღვანელობის დილეტანტიზმის საკმაოდ მაღალი ხარისხი, და, საერთო ჯამში, საკმაოდ სერიოზული სახის პრობლემაც სახეზეა.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება შინაარსობრივად არასტატიკური მდგომარეობის მოვლენაა; იგი დინამიურად მიმდინარეა და მისი შინაგანი სტრუქტურულიდან გამომდინარე მუდმივად მოძრაობაშია; აქ საბოლოო ჯამში თავს იყრის საწარმოში მიმდინარე სხვადასხვა სახის როგორც „წმინდა“ სამეურნეო თუ ეკონომიკური, თუ სოციალურ-ფსიქოლოგიური და სხვ. ხასიათის წინააღმდეგობის არეალი და აქვე მოსჩანს შესაბამისი პროცესების და მოვლენების სრულად რეალიზაციის შესაძლებლობა და რეალური გზა.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოება სამეურნეო ეკონომიკური ურთიერთობების მთელი სპექტრის დაცვის და სტაბილურობის უზრუნველყოფის, საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის განვითარების, საწარმოს თანამშრომელთა კეთილდღეობის დონის ამაღლების, საწარმოს შიდა და გარე წინააღმდეგობების წამოშობისა და განვითარების საშიშროებისაგან და საფრთხისაგან საწარმოს დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ქმედებათა მთელ კომპლექსს წარმოადგენს. იგი თავისი არსით საწარმოს ეკონომიკური „დაცულობის“ რეალიზაციის ფუნქციონალური მიმართულებებისა და მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ყველაზე უკეთესი სიტუაციის ჩამოყალიბების უზრუნველყოფის მდგომარეობას გულისხმობს.

საწარმოში ეკონომიკური უსაფრთხოება შესაბამისი სივრცით იშლება და მისი შინაარსობრივი სტრუქტურა რეალობაში შესაბამისი

ფუნქციონალური დატვირთვით რეალიზდება. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური უსაფრთხოების შინაგანი სტრუქტურის დადგენას; ეს კი ამ პრობლემის შეცნობის გზაზე ძალზე არსებითი მომენტი.

საწარმოში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესი შინაარსობრივად ძირითადში ფინანსური, ინტელექტუალური, ტექნიკური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი, ინფორმაციული, ეკოლოგიური და ძალოვანი უსაფრთხოების სახეებისაგან შედგება.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების რეალიზაციის პროცესში უსაფრთხოების აღნიშნულ სახეებს ერთ-მთლიან მოვლენაში თავისი განსაზღვრული ადგილი უჭირავს და შესაბამისი ფუნქციონალური დატვირთვა გააჩნია. ამასთან, უსაფრთხოების თვითოეული სახე გარკვეულ წილად საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებებად წარმოდგება.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია არის ფინანსური უსაფრთხოება; უფრო მეტიც, საწარმოს ფინანსური უსაფრთხოების არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე მისი დაცვა ფაქტიურად საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის რანგშიც კი განიხილება.

საწარმოს ფინანსური უსაფრთხოების დაცვა თავისი არსით საწარმოში არსებული მთლიანად მთელი საფინანსო-ეკონომიკური სისტემის (ბუღალტერიის, ეკონომიკის სამმართველოს ან განყოფილების, შიდა აუდიტის სამსახურის და ა.შ.) დინამიური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიმართულებას წარმოადგენს.

საწარმოს ფინანსური უსაფრთხოების დაცვისა და განმტკიცების ხელშეწყობი ფაქტორები არის:

- საწარმოს ყველა სამსახურის და სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის საქმიანობის საწარმოო შედეგებიდან ფინანსურ შედეგებზე გადაყვანა;
- საწარმოს ფუნქციონალურ მიმართულებასთან შესაბამისობაში დაბალნახეული მმართველობითი სტრუქტურის განვითარება;
- ინვესტიციური პროცესების მართვის განახლება და მისი შემდგომი აქტივიზაცია;
- ვალების მართვისა და ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების ამოღების მიმართულებით საქმიანობის გააქტიურება;
- ფინანსური ანალიზის მეთოდოლოგიის სრულყოფა;

კორპორაციული რესურსის მქონე საწარმოს მატერიალური აქტივის გვერდით გააჩნია არამატერიალური აქტივი – საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, ლიცენზია, ფრანჩიზი, საბადოების დამუშავების უფლება და ა.შ. აღნიშნული მომენტები, პლიუს საწარმოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური პერსონალის თვისობრივ-ხარისხობრივი შემადგენლობა, მათი კვალიფიციის დონე გარკვეულ წილად სრულად წარმოაჩენს საწარმოს ინტელექტუალურ სახეს. აქ უკვე კანონზომიერად ჩანს საწარმოს ინტელექტუალური უსაფრთხოების დაცვის საკითხის მნიშვნელობა.

საწარმოს ინტელექტუალური უსაფრთხოება, უსაფრთხოების სხვა სახეების განსხვავებით ძალზე სპეციფიკური და ამავე დროს ახალი, სახეა. მან ეკონომიკური უსაფრთხოების ერთიან სტრუქტურაში თავისი კუთვნილი ადგილი სავსებით კანონზომიერად მოიპოვა და დაიმკვიდრა. ამ შემთხვევაში საკითხი ეხება საწარმოს საწარმოო-კომერციულ იმიჯსა და სახეს, რომლის „დევალვაცია“ უმრავლეს შემთხვევაში სერიოზულ დარტყმას აყენებს საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მის ეკონომიკურ სტაბილურობას და ა.შ. ამდენად, საწარმოს ინტელექტუალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მისი სრულად დაცვა ეკონომიკური უსაფრთხოების ერთიან ჯაჭვში თავის კუთვნილ ადგილს იჭერს.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების ერთიანი პროცესის ერთ-ერთი მიმართულება არის საწარმოს **ტექნიკური უსაფრთხოება**. ამ კონტექსტში ამ სახის უსაფრთხოების განხილვა თითქოსდა უადგილოც კი არის, მაგრამ საწარმოო პროცესის საბოლოო შედეგის მიღწევის პროცესში ტექნიკური უსაფრთხოება „წმინდა“ ტექნიკურ სფეროს სცილდება და ეკონომიკურ განზომილებაში გადადის; ამ სახის რეალობა ნათლად ჩანს იმ საწარმოთა მიმართ, სადაც წარმოების ტექნიკური აღჭურვის მაღალი დონეა, სადაც სახეზეა მძლავრი, ზოგჯერ კი გრანდიოზული ტექნიკური მახასიათებლები. ანალოგიური შინაარსობრივი დატვირთვის მქონეა საწარმოს **ტექნოლოგიური უსაფრთხოება**; აღნიშნული სახის უსაფრთხოება არსებობის ფაქტი სახეზეა მძლავრი ტექნოლოგიური პოტენციალის მქონე საწარმოთათვის და მათთვის ძალზე საყურადღებო მომენტიც კი არის. იგი მართალია არაპირდაპირ, მაგრამ საბოლოო რეზულტატით ეკონომიკურ „განზომილებაში“ გადადის და რეალურად ხელშესახებიც კი არის. აღნიშნული გარემოება ნათლად ჩანს იმ შემთხვევაში როცა საკითხი ეხება

წარმოების ტექნოლოგიური ნორმების და ნორმატივების დაცვისა და უზრუნველყოფის არეალს; ამდენად ფაქტია, რომ წარმოების ტექნოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაში.

თანამედროვე საწარმოსთვის უდიდესი მნიშვნელობის საკითხია საწარმოს **ინფორმაციული უსაფრთხოება**; იგი თავისი დანიშნულებით მოწოდებულია მოიცვას საწარმოს საქმიანობის ყველა ის მხარე, რაც უშუალოდ კავშირშია მის ნორმალურ ფუნქციონირებასთან: აქ საქმე ეხება როგორც მიმდინარე სიტუაციის გათვალისწინებით ისე მომავლის გადასახადიდან უსაფრთხოების პოლიტიკის ზუსტი სახის პროგნოზის გათვლას. ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს უსაფრთხოების მართვის და დაცვის სისტემის აგება, მოსალოდნელი საშიშროების მოდელის და დარღვევის მოდელის შედგენა; ეს ეხება როგორც კაპიტალური ისე პრევენციული ხასიათის მატარებელი საჭირო ინფორმაციული აქტივების კონტროლის მექანიზმს. ამიტომაც ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მიზანმიმართული უნდა იყოს აქტიური დაცვითი სტრატეგიის და ადრე გაკეთებული პროგნოზების ბაზაზე დაფუძნებული დაცვის სისტემის შექმნაზე.

გარკვეული ტიპის საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების მთელ კომპლექსში ერთ-ერთი სერიოზული ადგილი უჭირავს საწარმოს ეკოლოგიური უსაფრთხოებას. იმ საწარმოთათვის სადაც მინა ან ნიადაგი წარმოადგენს წარმოების ძირითად ფაქტორს, ან იქ სადაც გარე-სამყარო წარმოების არსებითი ფაქტორია, მაგალითად, ქიმიური საწარმო, მოპოვებით-გადამამუშავებელი საწარმო და ა.შ. გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა და საწარმოს გარშემო ჩამოყალიბებული ეკოლოგიური ვითარება პირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოს საწარმოო-ეკონომიკურ საქმიანობაზე.

დღეს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციები პერიოდულად გრანდიოზულ მსვლელობას აწყობენ მავნე საწარმოო წარჩენებიდან განთავისუფლების მოთხოვნით; მართალია ასეთი რანგის რეაქციას ადგილი არა აქვს საქართველოს მაგალითზე, მაგრამ ჩვენთან მოქმედ რამდენიმე საქართველოს მასშტაბით სერიოზული სიმძლავრის საწარმოს კი მართებს მთელის სიფრთხილით მოეკიდონ ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაცვის საკითხს; მას ხომ „წმინდა“ ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხის გვერდით სერიო-

ზული სოციალური და ბიოლოგიური დატვირთვაც კი გააჩნია.

საწარმოს ეკონომიური უსაფრთხოების საერთო კონტექსტში შესაბამის ადგილს იჭერს საწარმოს სამართლებრივი უსაფრთხოება; იგი მართალია „წმინდა“ იურიდიულ-სამართლებრივი საწყისებზე არის დაფუძნებული, მაგრამ საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვისა და უზრუნველყოფის საერთო ფონს რეალურად უზრუნველყოფს. მართალია ამ სახის უსაფრთხოების უზრუნველყოფა იურიდიული სამსახურის კომპეტენციაა, მაგრამ საწარმოს ფარგლებში ან მის გარეთ სამეურნეო-ეკონომიკური, სოციალურ-ეკონომიკური ან სოციალურ-სამართლებრივი რანგის საკითხების მართებული გადაწყვეტა საბოლოო ჯამში საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვისა და რეალიზაციის რეალურ გზას წარმოადგენს.

ანალოგიურად დგას საკითხი საწარმოს ძალოვანი უსაფრთხოების პრობლემის მიმართ. ამ სახის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და დაცვა საწარმოს საერთო ინტერესში შედის და მას ყველა შემთხვევაში შესაბამისი დატვირთვით ანხორციელებს. მართალია საწარმოთა ნაწილი საკუთარი ძალებით ასრულებს ამ მნიშვნელოვან სამუშაოს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს გარედან დაქირავებული სპეციალიზირებული სამსახურის მომსახურებით სარგებლობის ფაქტს, რაც სასურველ შედეგსაც იძლევა.

სამეურნეო-საწარმოო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საწარმოში სახეზეა უსაფრთხოების ზემოთაღნიშნულ სახეებთან ურთიერთმიმართების და მათ ე.წ. მნიშვნელობითი დაქვემდებარების პრინციპი; აღნიშნული გარემოება შესაბამისად აისახება საწარმოს მხრიდან მათ მიმართ დამოკიდებულების საერთო საკითხზე. ასე მაგალითად: უსაფრთხოების ფუნქციონალური სახეებიდან საბანკო-საფინანსო სფეროში დასაქმებული ორგანიზაციები ეკონომიკური მეტ ყურადღებას უთმობენ (უნდა დაუთმონ) ფინანსური, ინფორმაციული და დაცვით-ძალოვანი უსაფრთხოების მომენტებს; სავაჭრო სფეროში მოქმედი საწარმო კი ფინანსური, ძალოვანი უსაფრთხოების მომენტებს მეტად აქცევენ ყურადღებას; მრეწველობის სფეროს საწარმოებში საწარმოო პროცესების ხასიათიდან გამომდინარე უპირატესობა ტექნიკური და ტექნოლოგიური, ფინანსური და ინტელექტუალური უსაფრთხოების საკითხებს ენიჭება; ამასთან, აქ ასევე არსებითია უშუალოდ დაცვითი უსაფრთხოების და სხვ. სახის უსაფრთხოების საკითხი. უფრო მეტიც, თუ პირველ ორ შემთხვევა-

ში (საბანკო-საფინანსო სფეროში და ვაჭრობის სფეროში) მოქმედი საწარმოთათვის ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხი თითქმის არა-არსებითია, სამრეწველო ტიპის საწარმოსათვის კი პირიქით, ეკოლოგიური უსაფრთხოება სერიოზული ყურადღების მქონე საკითხია.

ამრიგად, ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით შემოიფარგლა ეკონომიკური უსაფრთხოების მთელი სისტემა; მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს შემდეგი გარემოება: ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი უშუალო მიმართებაშია საწარმოში კორპორაციული რესურსების არსებობის ფაქტთან. მაგრამ მხოლოდ კორპორაციული რესურსის არსებობა აუცილებელია, მაგრამ არა-საკმარის პირობას წარმოადგენს; ფაქტია, რომ იმ საწარმოსათათვის, რომლის შრომითი რესურსი შედგება რამდენიმე პირისაგან, ან, რომლის ფინანსური რესურსი განისაზღვრება რამდენიმე ათასი ლარით, ხოლო მისი ტექნიკური რესურსი ძალზე მიზერულია, ტექნოლოგიური რესურსი კი საერთოდ არ გააჩნია, ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხის მნიშვნელობითი განზომილება, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ დგას, ან თუ დგას იგი ძალზე მოკრძალებულია; ამიტომაც როცა საწარმოს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე ვსაუბრობთ, საკითხი ეხება იმ საწარმოებს, სადაც კორპორაციული რესურსები სახეობრივად ნაირგვარია, სტრუქტურული შემადგენლობა რთული არის, ხოლო მისი რაოდენობრივი სიდიდე და ხარისხობრივი შემადგენლობა კი სოლიდურია; ამ ტიპის საწარმოები საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით საწარმოო გიგანტებს წარმოადგენენ. ამ რანგის საწარმოთათვის ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა და უზრუნველყოფა მათი „ყოფნა-არყოფნის“ საკითხის ტოლფასოვანია.

ორივე ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა ერთი საერთო, მაგრამ სხვადასხვა რანგის მოთხოვნა: საწარმოში უცილობლად უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ეკონომიკური უსაფრთხოება; საკითხის „სიმწვავე“ კი იმაში მდგომარეობს, თუ რამდენად საჭიროდ და რამდენად ინტერესით აღიქვამს ამა თუ იმ საწარმოს მეპატრონე თავისი კუთვნილი ქონების, ფულადი რესურსების და მატერიალური ფასეულობის ყაირათიანი და ეფექტური გამოყენებით: და, ბოლოს, რამდენად გაცნობიერებული აქვს მას, როგორც საწარმოში მიმდინარე სამეურნეო-საწარმოო პროცესებზე მოქმედი შიდა ისე გარე ფაქტორების გამო წარმოშობილი მოსალოდნელი ეკონომიკური საფრთხის საშიშროება.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთი-

მთლიანი მიზანი საწარმოს ერთიანი უსაფრთხოების რეალიზაციაა; მაგრამ ამ საკითხის რეალიზაციის მოთხოვნიდან გამომდინარე, იგი კონკრეტული რეალობის სახით არსებობს. ამიტომაც, ამ საწარმოში მკაცრად დაცული და იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

1. მუშაობის მაღალი ფინანსური ეფექტიანობა და საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობა;

2. ტექნოლოგიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და მისი ტექნოლოგიური პოტენციალის მაღალი კონკურენტუნარიანობის მიღწევა;

3. მენეჯმენტის მაღალი ეფექტურობის, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ოპტიმიზაციის უზრუნველყოფა;

4. საწარმოო პერსონალის კვალიფიკაციის, მათი ინტელექტუალური პოტენციალის მაღალი დონის შენარჩუნება;

5. საწარმოო საქმიანობის შედეგებზე ეკოლოგიის დაცვის მაღალი დონის, გარეზე ზემოქმედების ფაქტორების გავლენის დონის მინი-მალიზაცია;

6. საწარმო-სამეურნეო საქმიანობის ყველა ასპექტის მაღალხარისხოვანად და კომპეტენტურად იურიდიულ-სამართლებრივი დაცვა;

7. საინფორმაციო გარემოს და კომერციული საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფა, შესაბამისი სამსახურების ინფორმაციული უზრუნველყოფის მაღალი დონის მიღწევა;

8. საწარმოო პერსონალის, საწარმოს კაპიტალის და საწარმოს კომერციული ინტერესის უსაფრთხოების დაცვა.

ზემოთაღნიშნული ერთმთლიანობაში საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გადასაწყვეტი ამოცანების წრეს აყალიბებს.

საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხის შეცნობის პროცესში შემდეგი ეტაპია საწარმოში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა არეალის განისაზღვრა. ამ მიზნით საჭიროა გადანყდეს შემდეგი სახის პრაქტიკული ხასიათის საკითხები:

1. შეფასდეს საწარმოს ფინანსური, მატერიალური, შრომითი და სხვა სახის საიმედოება; დადგინდეს თუ რამდენად დაცულია ეს სფეროები შიდა და გარე საფრთხისაგან.

2. დროულად გამოვლინდეს საწარმოს კორპორაციული რესურსების განიავეების და უყაირათო ხარჯვის ფაქტები.

ღარგობრივი ეკონომიკა

3. ფინანსური, მატერიალური და მორალური ზიანის ხელისშემწეობი მიზეზების დადგენა.

4. სტაბილური ეკონომიკური ფუნქციონირების სტრატეგიის საკითხების გადაწყვეტის მიზნით აუცილებელი ინფორმაციის მოძიებამიღება.

5. საწარმოს მიმართ იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ არამართლზომიერი, უკანონო ქმედებებით გამოწვეული ფინანსური და მორალური ზიანის ანაზღაურების პირობების შექმნა-მომზადება.

6. საწარმოს უსაფრთხოების სისტემის მთელი კომპლექსის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, ანალიზი, შეფასება და პროგნოზირება.

აღნიშნულ საკითხთა თავისდროულ და კომპეტენტურ გადაწყვეტით მიიღწევა საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ამრიგად, საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების არსის სრულად გარკვევით იქმნება იმის წინაპირობა, რომ დაცული იქნეს საწარმოს სტაბილური და უსაფრთხო განვითარება, ხოლო ამ საერთო ფონზე ქვეყანაში ინვესტირების პროცესს შეუქცევადი სახე მიეცეს; ყოველივე ეს შესაბამისი დოზით აისახება როგორც ქვეყნის საერთო ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ისე საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრების დონეზე.